186/2 №2270

# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 97. ქვირა, 2 მარტი 1903 წ. გაზეთის № 2084.

17

*
* *

(ვუძღვნი ლეოს)

მწარე რამ ფიქრი არარაობის
გულს მიღრღნის ხშირად, მინაღვლიანებს;
ვფიქრობ: თუ ზეცამ დამიახლოვა,
მიწა რასათვის მინავლ-ჭიანებს?..

მაგრამ პასუხი?!. წამითი-წამად,
როს ფიქრი, აზრი გამინათლდება,—
ვგონებ, სამყაროც აიწვამს სულმთლად,
ისე ძლიერად აპრიალდება!

გულს მითბობს მაშინ ნეტარი გრძნობა,
თვალს ცრემლი მტკბობი აუგორდება
და ქვეყნისათვის თავის განწირვა,
ვით სიცოცხლე მომენატრება!..

დავიწყებული.

1903 წ.

## „ГОРЬКО, ГОРЬКО!“ *)

(ამბავი)

### III

ვინ იყო თედო?

თედო იყო მარტოხელა, შუათანა სწავლა მიღებული, თითაშვილის წრისა და წოდების, მაგრამ ღარიბი ახალგაზდა. თითაშვილიანთ ცოტათი ენათესავებოდა კიდეც და ამიტომ ხშირადა ჰქონდა ხოლმე შემთხვევა ფეფიკოს ნახვისა. პატიოსანისა და რიგიანის მიმართულების თედოს, მართალია, ძლიერ მოსწონდა ფეფიკო, მაგრამ მისადმი სიყვარულს თვის გულში გაღვივების ნებას არ აძლევდა და არც იმედი ჰქონდა თანაგრძნობისა. ამიტომ ძრიელ ფრთხილად ეპყრობოდა ფეფიკოს და არასოდეს არ უგრძნობინებია მისთვის თავისი მღელვარება. პირ-იქით სულ ფეფიკოს დარიგებასა და ცხოვრების ავ-კარგზე ლაპარაკში იყო ხოლმე. ერთ ხანად შესწყვიტა კიდეც ფეფიკოანთსა სიარული, მაგრამ რადგანაც პეტრეს ოჯახი ფუქსავატი ეგონა, ხოლო ფეფიკო კი სრულიად გამოუცდელი, ისევ მიჰყო ხელი ფეფიკოს სწავლებას. თუ რამე სახეირო იცოდა ფეფიკომ, ყველა ეს—თედოს მეოხებით და ამიტომ აფასებდნენ კიდეც მას, როგორც ფეფიკო, ისე მისი დედმამა.

თედოს აზრით, ფეფიკო სულ ბავშვი იყო და მით უფრო მწვავე გასაგონი შეიქმნა თედოსათვის ფეფიკოს გათხოვების ამბავი. ბრაზ-მორეულმა უსაყვედურა მისს დედმამას ქალის ასე ნაადრევათ გათხოვება და შემოსწყრა კიდეც. ამ დღიდან პეტრეს სახლში მისვლას აღარ აპირებდა.

დაბრუნდა შინ თედო, მაგრამ გულის უმთავრესი ტამარი პეტრესას დარჩა! მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მისთვის ფეფიკო მარტო მოზარდი ქალი კი არა ყოფილა, ისეთი ქალი, რომელთა გამოფხიზლებას თედო ყოველთვის სცდილობდა ხოლმე და არა ერთი და ორი ქალიც აღუზრდია თავისს დასავით, თავისს ღვიძლ ნათესავივით, არამედ ფეფიკო ყოფილა მისი გულის ნაწილაკი, მისი „მე“-ს დამამშვენებელი. მიხვდა, რომ იგი მას სახუმაროდ არა ჰყვარებია!

ბევრ ნაირად ეცადა თედო, გულიდან ჯავრის გადაგდებას, ბევრგვარად სცდილობდა დაევიწყებინა ფეფიკოს სახე, მის გათხოვების ამბავს გულ-გრილად მიჰგებებოდა, როგორც თავისის ნათესავის ან დის დაბინავებას, მაგრამ შრომამ ამაოდ ჩაუარა. რამდენადაც მეტსა სცდილობდა, იმდენად მეტად შემოჰკვნესოდა დაობლებული გული, იმდენად უფრო გიჟდებოდა.



შვილის საფლავზე.—ნახშირით დახატული გოგიაშვილის მიერ.

ერთის კვირის განმავლობაში სანთელივით ჩამოდნა თედო და სწორედ ჰკუაზე შეიშალა. ცხოვრებამ მის თვალში ფასი დაჰკარგა.

*) იხილე დამატება № 96.

ან კი რა ცხოვრება იყო თედოს ცხოვრება? წვრილმანი მოხელე უმნიშვნელოთა და უსიხარულოთ ატარებდა დღე-ღამეს:

**რომის პაპის ტახტზე ასვლის 25 წლის იუბილეი.**



რომის პაპი ლეონ მე-XIII-ე

დილით სამსახური, საღამოთი კიდევ სამსახური, უსიტყვოთა და უენოთ ქედის მოხრა უფროსის წინაშე, უგემური აწმყო, გამოურკვეველი მომავალი და გარშემო არარაობა, ფუქსავატობა, დაუნდობლობა! განა ღირს ამ ყოფნაში სიცოცხლეო, არა ერთხელ და ორჯელ უფიქრნია ხოლმე თედოს და ყოველთვის იმ დასკვნამდის მიდიოდა, რომ უფერულ ცხოვრებას სიკვდილი სჯობიაო. მაგრამ მაინც სცოცხლობდა თედო, სცოცხლობდა, როგორც სცოცხლობს არა ერთი და ორი ადამიანი, ისე, ანგარიშ მიუცემლად, მარტო იმიტომ, რომ მთელი დღე სხვის სამსახურში გაატაროს, ჯამაგირი აიღოს, სვას, ჭამოს, დაიძინოს და გაიღვიძოს კიდევ იმიტომ, რომ სამსახურში არ დაუგვიანდეს...

არის ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში ისეთი ხანა, როდესაც მას ავიწყდება თავისი თავი, თავისი დანიშნულება და გაბუცებული უაზროდ აჰყოლია უმრავლესობის უაზრო ფეხის ხმას და ეს ხდება მაშინ, როდესაც შეტბორებული ცხოვრება გუბესავით ხავსდება, გველ-ბაყაყების საბუდრად გარდაიქცევა. თედოს თანამედროვე ცხოვრებაც შეტბორებული იყო, ხოლო თედოს არსება კი მანქანად გარდაქცეული მართალია, დაგუბებული გრძნობა გაადამიანებისა ხშირად დაუწყებდა ხოლმე დუღილს გულის სიღრმეში და მაჯარივით აბობოქრებული გარედ გადმოხეთქას ლამობდა, მაგრამ თედოს არც ძალა და არც განვითარება არ შესწევდა, რომ მას პირველს აეღო ხელში ქვა და გველ-ბაყაყთა დასაბრთხობად თავგანწირვით გადაესროლა დახავსებულ ტბაში.

მუდმივმა ფიქრმა, მუდმივმა სულიერმა უკმაყოფილებამ, უსუსურობა-წვრილფეხობამ უიმისოდაც გული აუცრუვეს ცხოვრებაზე და ახლა, როდესაც ფეფიკო სამუდამოდ დაჰკარგა, სავსებით იგრძნო მთელი არარაობა თავისის გაძაღლებულის ცხოვრებისა.

— მეც ადამიანი ვარ... მეც მწყუროდა სიცოცხლე... მომეცით, მომეცით ჩემი ფეფიკო! — უგონოდ გაიძახოდა ხოლმე თედო, მაგრამ ცნობას რომ მოდიოდა, გულსაკლავად უმატებდა:

— ჩემი?! საიდგან არის ჩემი? მაჰანკლებმა, დედ-მამამ, ფულებმა იგი უდროვოდ ჩოფურაშვილს არგუნეს. ჰო, ექიმია... დიდი კაცია, კარგად აცხოვრებს, მე კი?..

— მე უნდა დავივიწყო იგი! — ვითომ გადასწყვიტა ერთ დღეს თედომ და მას შემდეგ, როგორც სამთვარიოთი ავადმყოფი, მთელი ღამეები დახეტიალობდა ხოლმე მტკვრის პირად, სასაფლაოებზე, რესტორანებში, ბაღებში. რამდენიმე დღე განუწყვეტლივ ლოთობდა, მაგრამ ვერა ეშველა-რა, ვერ დაივიწყა. მუდამ და ყველგან ფეფიკოს სახე ედგა თვალ-წინ და გრძნეულსავით ასდევნებოდა საყვარელ არსების აჩრდილს. თედო კარგად ჰგრძნობდა, რომ არავითარი უფლება არა ჰქონდა სხვა გაეუბედურებინა და ამიტომ თავისს თავს იტანჯავდა, თუმცა კი რაც უფრო ახლოვდებოდა ფეფიკოს ჯვარის-წერის დღე, მით უფრო გონებას ჰკარგავდა. კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც ფეფიკო სასოწარკვეთილებით გაიძახოდა, — თედო, თედოო, თედო თავის უნებურად მისულიყო პეტრეს სახლის დასაზვერავად.

თედომ თვალი მოჰკრა ფეფიკოს საწოლ ოთახის ფანჯარასთან რაღაც აჩრდილს და ფეხ-აკრეფით იქით გადავიდა.

ფეფიკოს გამოეღო ფანჯარა, თავი გარედ გამოეყო და გახურებული შუბლი ქარისათვის მიეშვირნა. ცოტა ხნის შემდეგ სასომიხდილმა ფეფიკომ თავზე ხელი გადაისვა და თვალ-ცრემლიანმა გულსაკლავად ერთხელ კიდევ წამოიძახა:

— ოხ, თედო, თედო!..

— აქა ვარ, ჩემო სალოცავო! — შეჰხიხინა ქვევიდან თედომ და თვალის დახამხამებაზე ფანჯარასთან აღიმართა.

ფეფიკო შეჰკრთა, დაიბნა და ფანჯარა უნებლიეთ მოხურა.

— წახვედი? ხმას აღარ გამცემ მაინც? ფეფიკო, ფეფიკო! შესჩურჩულებდა თედო და თან წნორის ფურცელივით თრთოდა. ფეფიკომ ფანჯარა ისევ გამოაღო და ნაღვლიანად წასჩურჩულა:

— რა გინდა, ჩემო თედო? წადი შინ, არავინ დაგინახოს!

— რა მინდა? მე შენ მიყვარხარ... მე თავს აღარ ვიცოცხლებ!..

— გვიანღაა, ჩემო კეთილო! ჩვენ ისევ მეგობრებად დავრჩეთ! — გულზე ხელის მოჭერით უთხრა ფეფიკომ.

— დავრჩეთ... სხვა რა ჭირი ვქნა! — გულ-ამოსკვნით წარმოსთქვა თედომ და დიდ-ხანს დააშტერდა ფეფიკოს სახეს.

— მშვიდობით, მშვიდობით! ან კი რად მოვსულვარ შენთან, უმანკო ანგელოზო! ჭკუა თუ დავკარგე, ეს ტიალი! მშვიდობით! — ცრემლ-ქვეშ დაილუღლუღა თედომ და ძირს ჩამოხტა. მთვრალივით ბარბაცებდა.

— მიდიხარ, თედო? მშვიდობით... ხელი მაინც ჩამომართვი. — გადმოსძახა ფეფიკომ და ფანჯარაზე გადმოეყუდა. თედო ვეფხვივით სწვდა ხელში, ერთხელ კიდევ ხანგრძლივ ჩააცქერდა თვალებში და გონება დაფანტული ქალის მარჯანატუჩებს თავ-დავიწყებით დაეკონა... ეს იყო პირველი და უკანასკნელი კოცნა, ეს იყო ერთად-ერთი ბედნიერი წუთი თედოს ცხოვრებაში!

## IV

დაღამდა მეორე დღე. პეტრეს სახლის წინ იმდენი ხალხი მოგროვილიყო, რომ კაცი ფეხს ვერ აუქცევდა. ეტლი-ეტლს მობმოდა. მთელი უბნის დედაკაცებიც აქ გაჩენილიყვნენ და ჩურჩულ-კურკურით გამვლელ-გამომვლელზე ბჭობდნენ, ოხუნჯობდნენ. პეტრეს ძალზე გაჩირაღდნებული სახლი სტუმრებით გაჭედილიყო, — ფეფიკოს ქორწილს იხდიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ქორწილის სანახავად თედოც მოსულიყო. პეტრეს სახლის მოპირდაპირე სასტუმროს მაღალ სართულში ერთი ოთახი დაექირავებინა და ფანჯარაზე ნახევრად გადმოყუდებული ქორწილის ხალხს გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა. თედოს ხელის გულივით გადაშლოდა თვალწინ პეტრეს სახლის შინაგანი და თითოეულის სტუმრის სახის გამომეტყველებაც კი არ ეპარებოდა. უმზერდა თედო ისე გულ-გრილად, მანქანასავით. მისი გული დიდი-ხანია მისივე ფიქრის სამარედ გარდაქცეულიყო და თუ თვალებს ახელდა, მარტო იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დაენახა თავისი სათაყვანო ფეფიკო.

ეტლები საითკენღაც გარიხინდნენ, ქუჩაში ხალხი შეჩოჩქოლდა და ეკკლესიიდან მომავალ ნეფე-დედოფლის მისაგებებლად მოემზადა.

აგერ დაიგრიალა ძვირფასმა კარეტამ, შავმა ცხენებმა თქაფა-თქუფით მოაქანეს სახლ-წინ მეფე დედოფალი... ფრაკები, ცილინდრები, თეთრი ხელთათმანები, ყვავილები, თაიგულები, ლამაზად დართულნი ქალ-ვაჟნი ერთმანეთში აირია. გაიღო კარეტის კარები და გადმოვიდა ფრაკში გამოწყობილი ვანო ჩოფურაშვილი. გულზე უნივერსიტეტის ნიშანი ჰქონდა მიკრული და ამაყად იღიმებოდა. ვანომ დიდის ამბით გამოიყვანა კარეტიდან ფეფიკოც. შიგნიდან ფეფიკოს დედამამ და ნაცნობები ლოცვა-კურთხევით მიეგებნენ ახლად ჯვარდაწერილებს, გარეთ ხალხმა სიხარულის ყიჟინა დაჰკრა, მაგრამ ეს საერთო ხმაურობა მალე დაჰფარა სამხედრო მუსიკის გახურებულმა „ტუშმა“.

თედო ყველასა ჰხედავდა. ცის ანგელოზივით თეთრებში მორთულმა ფეფიკომ ერთხელ კიდევ ჩაანათა თედოს გულში, მაგრამ თედოს მეტი მოთმენა აღარ შეეძლო. ქვითინით მოშორდა ფანჯარას და ოთახში აღელვებით დაიწყო ბოლთის ცემა. თითქოს გულზე გახურებულ მარწუხებს უჭერენო, საცოდავათ იხლაკნებოდა საწყალი თედო და სახე თან-და-თან ეშლებოდა, ტვინი ემღვრეოდა. ცოტა კიდევ და საზარელის გულის თქმით გადარეულმა თედომ თმებში ხელი იტაცა

— გათავდა... გამიფრინდა ხელიდან ჩემი ფეფიკო... ჩემი იმედი!.. ჩემი სიცოცხლე რიღას მაქნისია? ვის რად ვარგივარ ობოლი სულით, დაკოდილი გულით, მუდამ სხვის ხელფეხათ გარდაქცეული, წვრილმან მოხელეობის მატარებელი? ვინ ამიტირდება? ვის დავენანები? დეე ჩემმა წილმა მზემ ფეფიკოს გაუნათოს. მე კი მიმილე მოსასვენებლად, შავო მიწავ! ჰია-ღუებო, მალე გამოხარით ჩემი გული, რომ იქ, სამარეშიაც, არ მიკვნესდეს! შენ, შენ იყავ ბედნიერი, ჩემო სიცოცხლის სულის შემბერველო ფეფიკო...—დაიგმინა თედომ და რევოლვერს ხელი წამოავლო.

ერთხელ კიდევ გადახედა ფანჯრიდან ახლად ჯვარდაწერილებს, ერთხელ კიდევ წაუგდო ყური სტუმრების ჟრიამულს.

— Горько, горько!—ღრიალებდნენ ღვინით შეზარხოშებულნი სტუმრები.

— Горько! — შესძახა თავისს კეკლუც მეუღლეს ვანო ჩოფურაშვილმაც და იმ დროს, როდესაც ძალად დაეკონა მორცხვ პატარძლის ტუჩებს, იგრიალა რევოლვერმა და საფეთქელ განგმირული თედო ოთახის იატაკზე უსულოდ გაიშხლართა...

ია ეკალაძე.

## თანამედროვე ტეხნიკა

წარსული საუკუნე ტეხნიკის განვითარების მხრივ დიდ მნიშვნელოვანი იყო. კაცობრიობის არც ერთს ხანაში ისე არას დროს არ განვითარებულა ტეხნიკა, როგორც წარსულ საუკუნეს—ამიტომაც უწოდებენ იმას ორთქლისა და ელექტრონის საუკუნედ. ეს მეოცე საუკუნეც, როგორც წარსულის მემკვიდრე, ამ სამკვიდროთი შესაფერისად სარგებლობს და სცდილობს არ ჩამორჩეს მოანდერძეს.

„თანამედროვე ტეხნიკა“—ამ სათაურით გვინდა დრო-გამოშვებით ვამცნოთ მკითხველ საზოგადოებას ყველა შესანიშნავი მოვლენა თანამედროვე ტეხნიკისა და მით, შეძლებისა და გვარად, ნათლად ავუწეროთ ის საკვირველებანი ტეხნიკისა, რაც მოხდება ჩვენსა, რუსეთსა და უცხოეთში. ვეცდებით ღირს-შესანიშნავი არა გამოვტოვოთ-რა.

### ელექტრონით წვიმის მოყვანა.

სულ რაღაც 40 წელიწადი იქნება, რაც იაპონია დაეწაფა ევროპის ცივილიზაციას და ამ მოკლე ხანში ისე შეითვისა კიდეც, რომ დღეს იაპონელები ევროპის მოსწავლეებს კი აღარა ჰგვანან, არამედ იმათი მასწავლებლობაც-კი დაეკვეხებათ. იაპონელებს ეხლა ისეთი საშუალება გამოუგონიათ, რომ ელექტრონის შემწეობით გვალვაში, როცა და სადაც უნდათ, წვიმას მოიყვანენ. უცდიათ კიდეც ეს გამოგონება და 12 საათის განმავლობაში კოკის პირული წვიმა მოუყვანიათ კარგ მანძილზედ. ეს საკვირველი ამბავი პირველად ამერიკის გაზეთებმა გამოაქვეყნეს და ევროპას დიდი იმედი აქვს იმავ ამერიკის ჟურნალ-გაზეთებისა, რომ ისინი იაპონელ მეცნიერთაგან შეიტყობენ და გამოაქვეყნებენ ამ წვიმის მოსაყვან მანქანების აგ-კარგს.

### უპირველესი სწრაფი მატარებელი.

ახალგაზრდა ამერიკამ ტეხნიკაში ხომ დიდი ხნის წინ გაუსწრო მოხუცს ევროპას. „დრო ფულიაო“, ყველას პირზედ აკერია ამერიკაში და ვაჟკაცურადაც ასრულებენ თავიანთ ნათქვამს. ამერიკელნი, როგორც საქმის მცოდნე და ამასთან შრომის მოყვარე ხალხი, სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ მიმოსვლა გაეადვილებინათ და ამის შემწეობით შეემცირებინათ დრო ერთის ადგილიდან მეორეში გადასვლა-გადმოსვლისა. ამერიკის მატარებლები დღემდისაც დიდის სისწრაფით დადიოდნენ მაგრამ ეხლა უფრო დიდის სისწრაფით დაუწყვიათ სიარული: ნიუ-იორკსა და ჩიკაგოს შუა, მაგალითად, მატარებელი გარბის საათში 81 ვერსს.

### უდიდესი ტერმომეტრი.

მასსაჩუზეტის შტატში, ქალაქ ვინჩესტერს, გაუკეთებიათ 10 საჟენიანი (სიგრძე) ტერმომეტრი; ეს ტერმომეტრი დედამიწის სითბო-სიცივის გამოსაკვლევადაა თურმე დამზადებული და ჩაშვებულია $9\frac{1}{2}$ საჟენიან ორმოში. სახე და მომართულობა ისეთივე აქვს, როგორიც პატარა ტერმომეტრს. იმას-კი არ იტყობინებიან, შუშის მილი მთლიანია, თუ ნაჭრებისაგან შესდგება.

### ზღვაში დაღუპულთა გადარჩენა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს მსოფლიო კონკურსი ისეთ მოწყობილების გამოსაგონებლად, რომლითაც შესაძლებელი იქნება ზღვებზედ გემების დაღუპვის დროს ხალხის გადარჩენა. პრემიად 100.000 ფრანკია დანიშნული; ეს ფული გადაუდვიათ ანტონ პოლლოკის მემკვიდრეებს. აუარებელ სიმდიდრის მოანდერძე პოლლოკი თავის ცოლით დაიღუპა ზღვაზედ, გემების შეჯახების დროს, 4 მკათათვეს 1898 წელს.

### მფრინავი მანქანა.

ქალაქ ნიცაში მცხოვრებს, ახალგაზრდა კაპიტანს, ფრანგ ფაბერს გამოუგონია ასაფრენი მანქანა, სრულიად ახალის სისტემისა. ეს მანქანა უზარ-მაზარს ფრინველს წააგავს; შიგ მოთავსებულია სამოქმედო აპარატი. წლეულს შემოდგომამდის ეს საფრენი მანქანა მზად იქნება და ფაბერს უნდა გადაფრინდეს ხმელთა-შუა ზღვაზედ. საათში 75 ვერსის მანძილს გავივლიო, ამბობს გამომგონი.

### რკინის გზის ვაგონების გადაბმა.

ისე დღე არ გავა, რომ რკინის გზებზედ ვაგონების გადაბმის დროს უბედურება არა დატრიალდეს-რა. ამ გარემოებას ძლიერ ყურადღება მიაქციეს და ამა წლის 13 აპრილისთვის კონკურსი დანიშნეს ისეთ მოწყობილების გამოგონებისათვის, რომ ვაგონების გადასაბმელად შუა კაცი აღარ იყოს საჭირო. ამისათვის რუსეთის რკინის გზების წარმომადგენლებმა სამი პრემიად დანიშნეს: 5000,

3000 და 1000 მანეთიანი. ამ გამოგონებისათვის როგორც რუსეთს, ისე უცხოეთშიაც ჰფიქრობენ და მუშაობენ; ჩვენშიაც გამოიგონა გიორგი დუდუშაურმა 4 ნაირი „თვით გადამბმელი“ და ელის აღნიშნულ დროს, რომ კონკურსში წარადგინოს. მაგრამ 15 აპრილს აღარ მოუცადეს და რუსეთის ზოგიერთა რკინის გზებზედ კიდეც დაიწყეს ახლად გამოგონილ ვაგონების გადასაბმელ მოწყობილების გამოცდა. ეს მოწყობილება გამოუგონია მჭედელს ალექსი პალევინს. მოწყობილება თურმე ძრიელ მარტივია: ვაგონებს თავებზედ მიმაგრებული აქვს „დედალ-მამალი“ დუგმები; როდესაც ვაგონები ერთმანეთს უახლოვდებიან და შეეჯახებიან, გადაებმევიან კიდეც, ასე რომ კაცი აღარ არის საჭირო. მხოლოდ გასხნისათვის საჭიროა კაცი, რომელიც ვაგონის გვერდზედ მიმაგრებულ ბორბალს გადაატრიალებს და გაიხსნება. თითო ვაგონზედ რომ ასეთი მოწყობილება სრულიად ახლად გააკეთდეს, 50 მანეთი დაჯდება, მაგრამ ეს ისეა გამოგონილი, რომ ძველი მოწყობილებაც ასევე გადაკეთდება თურმე და სულ 1 მანეთზედ მეტი არ დაჯდება.

### უმავთულო ტელეგრაფი.

ნახევარ კუნძულ გავაზედ, რომელიც შორეულ დასავლეთს მდებარეობს, ლამანშის დეპარტამენტში, ამ ჟამად იმართება უმავთულო ტელეგრაფის სადგური 70 არშინიან ბოძებზედ. სადგურის გამკეთებელთ იმედი აქვთ, რომ ასეთი ტელეგრაფი 300 კილომეტრის მანძილზედ იმოქმედებს. ჯერ-ჯერობით 3 ბოძსა სდგამენ: ერთი მიმართულია ზღვისკენ, მეორე—უესსანისაკენ და მესამე—ტრე-პორტისაკენ. დარწმუნებულნი არიან, რომ ამ გვარად ტელეგრაფი სამუდამოდ იმოქმედებს და ამიტომაც იქვე აშენებენ მოხელეთა საცხოვრებელ სახლებს.

### ჭია და ელექტრონი.

შუაგულ ავსტრალიის ერთ ქალაქში, სახელად ტორგო-მინდახში, რომლის მცხოვრებთა უმრავლესობას ევროპიელნი შეადგენენ, ჭიების შემწეობით ელექტრონის განათება შემოუღიათ და ეს საქმე მეტად ორიგინალურადაც მოუწყვიათ. როგორც იქაური გამოჩენილი ტეხნიკოსი გორას გოცერი იტყობინება, 30 ცხენის ღონიანი მოძრავი ძალა სრულიად საკმარისი ყოფილა 150—200 სანათისათვის. იგი ამბობს, ჩვენს გამოცდას მშვენიერი შედეგი მოჰყვა და სასურველია, სხვა ქალაქებმაც მიჰბაძონ ტოგო-მინდახას და ასეთი ელექტრონის განათება გაიმართონ ჭების შემწეობითაო.

გ. თოიძე.




ბანქის სათამაშო ოთახში არტისტიულ საზოგადოებაში.




— მგონია ტრამვაის მოსვლას ვერ მოვესწრები, რამდენ ხანს იგვიანებს!

— თქვენ რა გიჭირთ, ახალგაზდა ხართ, კიდევ მოესწრებით, მაგრამ მე კი მოხუცი, მართლა ვერ მოვესწრები.




— კნიაზო, რა შემოსავალს გაძლევთ ეს თქვენი მამული?

— მე არაფერს! მთელი შემოსავალი ბანკს უნდება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 26 Февраля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.